საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №136/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 16 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის №136/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- მიერ განხილულია -- -- და -- -- მიმართ სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით მომჩივანი მიუთითებს, რომ სასამართლო განზრახ აჭიანურებს მხარეებისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების (განაჩენი) გადაცემას და მათ მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, სს საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2018 წლის 06 მარტის განაჩენით:

-- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2017 წლის 29 ივლისიდან.

-- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2017 წლის 29 ივლისიდან.

2.2. მოსამართლე -- -- საქმეთა დატვირთვა 2018 წლის 01 იანვრიდან -2018 წლის 30 სექტემბრამდე:

მოსამართლის წარმოებაში იმყოფებოდა: 186 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც განიხილა 172 საქმე (-- -- სასამართლოში უფლებამოსილების განხორციელებისას); 3 სისხლის სამართლის სხვა კატეგორიის საქმე, საიდანაც განიხილა 3 საქმე (-- -- სასამართლოში უფლებამოსილების განხორციელებისას); 9 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც განიხილა 5 საქმე (-- -- სასამართლოში უფლებამოსილების განხორციელებისას); 18 სამოქალაქო საქმე, საიდანაც განიხილა 13 საქმე (-- -- სასამართლოში უფლებამოსილების განხორციელებისას); 46 სისხლის სამართლის სხვა კატეგორიის საქმე, საიდანაც განიხილა 44 საქმე (-- -- სასამართლოში უფლებამოსილების განხორციელებისას);

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 16 მაისის №136 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, კერძოდ არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[1]

ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. მათ მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3/2/577 გადაწყვეტილება

არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე–6 მუხლით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც ასევე მოიცავს გონივრულ ვადებში საქმის განხილვას. ამასთან, სისხლის სამართალწარმოება შეადგენს ერთ მთლიან ნაწილს და მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვა არ წყვეტს მოქმედებას პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ (იხ. mutatis mutandis, Belziuk c. Pologne, arrêt du 25 mars 1998, Recueil 1998-II, p. 570, §37).

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

საქართველოს სსსკ 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო ვადაში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეები.

საქართველოს სსსკ-ის 278-ე მუხლის თანახმად, განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

საკითხზე მსჯელობისათვის ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს სს საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნის საპროცესო ვადას. დადგენილია, რომ საქართველოს სსსკ-ის 293-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრების ვადა შეადგენს 1 თვეს და მხარის საპროცესო უფლებაა, სააპელაციო საჩივარზე შეიტანოს შესაგებელი. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 294-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სააპელაციო საჩივრის ასლს არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნის მეორე მხარეს, რათა მან წარადგინოს საჩივრის შესაგებელი. მეორე მხარემ სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. არსებულ დანაწესთა გათვალისწინებით, მითითებულ საპროცესო ვადების გასვლის შემდეგ, სასამართლო ვალდებულია მაქსიმალურად გონივრულ ვადაში უზრუნველყოს საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გაგზავნა, რათა დაცული იქნეს პირის უფლება - გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის თაობაზე.

საქმის მასალების თანახმად:

- -- -- სასამართლოს (მოსამართლე-- --) 2018 წლის 06 მარტის განაჩენით, -- -- და -- -- ცნობილნი არიან დამნაშავედ.

- 2018 წლის 14 მარტს, სასამართლოს განცხადებით მიმართა დაცვის მხარემ, განაჩენის გადაცემის თაობაზე.
- მოსამართლის თანაშემწის მიმართვის საფუძველზე, -- -- სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის განაჩენი მხარეებს გაეგზავნა 2018 წლის 29 მაისს (მსჯავრდებულ -- -- მიმართ გზავნილი, ადრესატს, №-- პენიტენციურ დაწესებულებაში ჩაბარდა 2018 წლის 29 მაისს).
- საქმეზე, 2018 წლის 30 მარტს, მსჯავრდებულ -- -- მიერ წარდგენილია სააპელაციო საჩივარი, ხოლო 2018 წლის 05 აპრილს მსჯავრდებულ -- -- მიერ. სააპელაციო საჩივრებზე შესაგებელი, ბრალდების მხარის მიერ საქმეზე წარმოდგენილია 2018 წლის 10 აპრილს.
- მოსამართლის თანაშემწის 2018 წლის 29 მაისის მიმართვის საფუძველზე, სს საქმე -- -- და -- -- მიმართ, გაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს (საქმე -- სააპელაციო სასამართლოში რეგისტრირებულია 2018 წლის 30 მაისს).

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მოცემულობაში, სასამართლოს 2018 წლის 06 მარტის განაჩენის მხარეებისათვის გაგზავნა უნდა განეხორციელებინა არაუგვიანეს 2018 წლის 20 მარტისა, ხოლო, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა მხარეებს (მათ შორის მსჯავრდებულ -- --) იგი გაეგზავნა 2018 წლის 29 მაისს, 2 თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 278-ე მუხლით დადგენილი საპროცესო ვადა.

ამასთან უნდა აღინიშნოს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეზე სააპელაციო საჩივრის შესაგებელი ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია 2018 წლის 05 აპრილს, ხოლო საქმე სააპელაციო სასამართლოს გაეგზავნა 2018 წლის 29 მაისს, 1 თვისა და 23 დღის შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნისთვის, არაგონივრული ვადაა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის მიერ დარღვეულია საქართველოს სსსკ გათვალისწინებული საპროცესო ვადები, მოსამართლის ამ ქმედებას უარყოფითი სამართლებრივი შედეგი არ გამოუწვევია და მსჯავრდებულთა უფლებები სრულად იქნა რეალიზებული.

აქვე, როდესაც ვსაუბრობთ მოსამართლის მიერ საპროცესო ვადის დარღვევაზე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოსამართლის დატვირთულობაზე. ზემოხსნებული სტატისტიკიდან გამომდინარე, მოსამართლე -- --, საანგარიშო პერიოდში, ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას როგორც -- -- სასამართლოში, ასევე გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოში და გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა იხილავდა სხვა კატეგორიის საქმეებსაც.

ამდენად, ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით, რაც გამოიხატა მოსამართლის დატვირთულობაში (საქმეთა სიმრავლე და სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა განხილვა), მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 12 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №136/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი